სსიპ კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორი

02/10/2025

N 221

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

„კონკურსის „სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმების ქართულ-უცხოური ერთობლივი წარმოების (კოპროდუქცია) დაფინანსება“ გამოცხადებისა და საკონკურსო პირობების დამტკიცების შესახებ“ სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 22 სექტემბრის №214 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კულტურის მინისტრის 2025 წლის 26 ივნისის №05/20 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე და ფილმწარმოების მხარდაჭერის სამსახურის უფროსის ფუნქციათა შემსრულებლის 2025 წლის 2 ოქტომბრის №1-494 მოხსენებითი ბარათის გათვალისწინებით,

ვბრძანებ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „კონკურსის „სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმების ქართულ-უცხოური ერთობლივი წარმოების (კოპროდუქცია) დაფინანსება“ გამოცხადებისა და საკონკურსო პირობების დამტკიცების შესახებ“ სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 22 სექტემბრის №214 ბრძანებაში და ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული კონკურსის „სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმების ქართულ-უცხოური ერთობლივი წარმოების (კოპროდუქცია) დაფინანსება“ საკონკურსო პირობები ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

მამუკა ბლიაძე

დირექტორი